

### 1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის თამაზ მოდებაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ნიკორა ტრეიდი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის დავით ურუშაძის სახით (შემდგომში წოდებული - „მხარეებად“), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, „შემსყიდველის“ საჭიროებისთვის სასმელი წყლის (შემდგომში - „საქონელი“ ან შესყიდვის ობიექტი; CPV კოდი: 15900000) გამარტივებული შესყიდვა.

2.2. ხელშეკრულების ფარგლებში შესასყიდი საქონელია:

2.2.1. სასმელი წყალი 0.5 ლ („სნო“) – 500 (ხუთასი) ბოთლი;

2.2.2. მინერალური წყალი 0.5 ლ („ბორჯომი“) – 400 (ოთხასი) ბოთლი;

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 520 (ხუთას ოცი) ლარს. მათ შორის:

3.1.1. წინამდებარე ხელშეკრულების 2.2.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასმელი წყლის ღირებულება შეადგენს 0.40 (0 ლარი და ორმოცი თეთრი) ლარს.

3.1.2. წინამდებარე ხელშეკრულების 2.2.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული მინერალური წყლის ღირებულება შეადგენს 0.80 (0 ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი/მოსაკრებელი/სახდელი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

### 4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში (საქონლის მიწოდების ვადის პირველ სამუშაო დღედ ითვლება ხელშეკრულების გაფორმების დღე), მიწოდების ადგილი: შპს „ნიკორა ტრეიდი“ საფირმო მალაზია: ქ. თბილისი, მ. ქავთარაძის 11.

4.2. მოწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „მიმწოდებელს“.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება საქონლის მიწოდებისთანავე ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტის სახით, „მიღება-ჩაბარების“ აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის ხელის მოწერით, „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების და წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, ხოლო თუ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი, წარმოდგენილ უნდა იქნეს სასაქონლო ზედნადები და კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემულ ცნობა, რომ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი, რის საფუძველზეც წერილობითი ფორმით ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტი, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის ხელის მოწერით.

### 6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნადლო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება წარმოდგენილი, სასაქონლო ზედნადების, ანგარიშ-ფაქტურის და მხარეთა შორის გაფორმებული „მიღება-ჩაბარების“ აქტის საფუძველზე, ყველა ამ დოკუმენტის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო თუ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი, წარმოდგენილ უნდა იქნეს სასაქონლო ზედნადები და კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი და მხარეთა შორის გაფორმებული „მიღება-ჩაბარების“ აქტი. ამ პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების სრულად (ერთობლივად) წარმოდგენის გარეშე ანგარიშსწორება არ განხორციელდება.

### 7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ საქონელი დადგენილ ვადაში;

7.1.2. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.5. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;